

გარეჯის მაცნა



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(309) 2024 წ. 1-15 აპრილი შპსი 1 ლარი


ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის საპროექტო პოლიტიკის განხორციელება



ირაკლი კობახიძე: ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებს **სრულად ჩამოეწერება** 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდეელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება მათზე დარიცხული საურავების ჩათვლით. როგორც კი მივიღებთ ამ კანონპროექტს 145 ათას ფიზიკურ პირს სრულად ჩამოეწერება ჯამში 590 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება. შესაბამისად, 145 ათას ჩვენს თანამოქალაქებს საშუალება ექნება, აქტიურად ჩაერთონ ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ეკონომიკის განვითარებასაც წაადგება.

გაღობა თავისუფლებისათვის

„ჩემო სამშობლო, ჩემო ერო, ჩემო ქალაქო. უიარაღოს იარაღით როცა გებრძვიან, ეს იმას ნიშნავს, ძლიერი ხარ უიარაღო...“
35 წელი - 9 აპრილის ტრაგედიიდან
33 წელი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან.



1989 - 1991
 9 აპრილი

„რაც დავიწყებით არ იბინდება...“



1989 წლის 9 აპრილის მოვლენებიდან 35 წელი გავიდა. ეს დღე დიდ ტკივილად იქცა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ამავე დროს - ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა - ავთანდილ გულიკაშვილმა, მოადგილესთან, გიორგი ლალიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან - ალექსი გილაშვილთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ - ლელა ფანიჭიშვილთან ერთად 9 აპრილის მემორიალები თაიგულებით შეამკო და პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას. ქ. საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა კიდევ



ერთხელ გვამოგზაურეს 90-იან წლებში და კიდევ ერთხელ ის-აუბრეს დღევანდელი დღის მნიშვნელობაზე, 21 მშვიდობიან, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი თავგანწირული გმირების დეაქსა და პატივითი ხსოვნაზე. 35 წლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათასობით ადამიანი მოიწამლა. ქართველმა ხალხმა 9 აპრილი ეროვნულ დღესასწაულად და ეროვნული ერთიანობის დღედ გამოაცხადა. „ეს დღე არის თავისუფლებისა და ერთიანობისთვის ბრძოლის დღე. გმირები, რომლებმაც ამ დღისათვის თავი გასწირეს ჩვენი ისტორიის თვალსაჩინო, სამაგალითო და საამაყო ადამიანები არიან. ქვეს ვიხრი თითოეულის წინაშე! დღევანდელ დონისიძებზე კიდევ ერთხელ ცხადად და მძაფრად შევიგრძენი იმ დღეების სევდა, ტკივილი და ამავედროულად, ეროვნულ ფასეულობათა საბოლოოდ გამარჯვების დღის ხიბლი“- განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა. 1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე, 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიის და ამავედროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.



იფთარის ტრადიციულ მახაშაზე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ რამაზანის თვესთან დაკავშირებით, მუსლიმი თემის პატივსაცემად იფთარის ვახშაში გამართა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში, მუსლიმთა თემის პატივსაცემად, მუნიციპალიტეტის მერმა **აშთანდილ ბულიკაშვილმა**, მოადგილესთან **გიორგი ლალიაშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარესთან **ალექსი ბილაშვილთან** ერთად, იფთარის ვახშაში, ადგილობრივებს უმასპინძლა და რამაზანის წმინდა თვე მიულოცა. „**მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს მობრძანებისთვის, გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს - რამაზანის წმინდა თვეს! ეს ტრადიციული ვახშაში არის ჩვენი მეგობრობის კიდევ ერთი დასტური. როგორც ერთიანმა დიდმა ოჯახმა, ვიდრე ერთი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მშვიდობის, წინსვლისა და ერთიანობისთვის.**“ - აღნიშნა **აშთანდილ ბულიკაშვილმა**. ვახშაშივე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს შეიხმა **ზაიბ ნაბიევა**.



ქეთი პრატიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ინფრასტრუქტურა=2024

„საუკუნის პროექტები“ - ხორციელდება

განსაკუთრებულად დანქარებული ტემპითა და ხალხით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქუჩების, უბნების მოასფალტებისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, სპორტული მოედნების, სკვერების, ხიდების მოწყობისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება-ხორციელებს.

2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ჩვენს მუნიციპალიტეტში 13 ინფრასტრუქტურული პროექტია განსახორციელებული, რომელთაგან ზოგიერთი უკვე განხორციელდა. ქვემოთ ჩამოთვლილ პროექტაგან თითქმის ყველა პროექტს ცალ-ცალკე შეიძლება ვუწოდოთ „საუკუნის პროექტი“, რადგან უმეტესი ქუჩების მოასფალტება - რეაბილიტაცია დიხსაც, რომ პირველად მოხდა. მაშ, ასე, აი, ეს პროექტებიც:

1. სოფელი ბაღიაშო - ე.წ. „კაკლების უბანში“ საავტომობილო გზის მოასფალტება;
2. სოფელი აბაბა ჩაილში - ცენტრალური გზისა და მისი მიმდებარე ქუჩის მოასფალტება;
3. სოფელი ნინოწმინდა - სოფლის 21-ე ქუჩის მოასფალტება;
4. სოფელი დიდი ჩაილში - სოფლის საჯარო სკოლის ქუჩის მოასფალტება;
5. სოფელი ბაზარა - სოფლის გზის მოასფალტება;
6. სოფელი - ღუზაბრამა - სოფლის გზის მოასფალტება;
7. ძალაძი საბარაქო - ბილანიშვილის ქუჩის მოასფალტება;
8. სოფელი მანაში - სოფლის მე-7 და მე-10 ქუჩების რეაბილიტაცია;
9. სოფელი მანაში - სოფლის 28-ე ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია;
10. სოფელი ბაღიაშო - ე. წ. მესტყვის უბნის გზის რეაბილიტაცია;
11. ძალაძი საბარაქო- შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩის მოასფალტება (ტროტუარების მოწყობა);
12. ძალაძი საბარაქო - კახეთის გზატკეცილი №9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია;
13. სოფელი შიბლიანი - სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია მაგის ტრალური მილსადენის მოწყობა.

2024 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

1. ძალაძი საბარაქო - საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა;
2. სოფელი აბაბაჩი - „გმირთა სავანეს“ რეაბილიტაცია;
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორია - არსებული გზების ორმოული შეკეთება;
4. ძალაძი საბარაქო - შ. რუსთაველის ქუჩის მოასფალტება და ტროტუარების მოწყობა და ეგნატე ნინოშვილის ქუჩების რეაბილიტაცია;
5. ძალაძი საბარაქო - ე.წ. „სომხის სასაფლაოსთან“ მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა;
6. ძალაძი საბარაქო - ერეკლე II-ის ქუჩის №74 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია;
7. სოფელი მანაშო - სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება;
8. სოფელი შიბლიანი - ე.წ. „თუთუბიანთ“ გზის მოასფალტება;
9. ძალაძი საბარაქო - ერეკლე მეორეს ქუჩის მეშვიდე შესახვევის რეაბილიტაცია და ერეკლე მეორეს ქუჩის მეხუთე შესახვევის რეაბილიტაცია;
10. საბარაქოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის ქსელის გაწმენდითი მომსახურების სამუშაოები;
11. სოფელი კაკაბეთი - არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
12. ძალაძი საბარაქო - დაღმაშენებლის ქუჩაზე სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა;
13. ძალაძი საბარაქო - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ეზოს კეთილმოწყობა;
14. სოფელი იორგულანო - შესახველი ხიდის რეკონსტრუქცია;
15. სოფელი კაკაბეთი - სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია;
16. სოფელი აბაბაჩი - სასმელი წყლის არსებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია;
17. სოფელი ბიორბიწმინდა - სასმელი წყლის არსებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია.

სასმელი წყალი

გამოვლენილი ხარვეზები გამოსწორდება

საბარაქოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვანდაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზებს, კონტრაქტორი კომპანია, ხელშეკრულების გათვალისწინებით, ეტაპობრივად გამოსწორებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბულიკაშვილმა, მოადგილეებთან და კონტრაქტორი კომპანიის დარგის სპეციალისტებთან ერთად შესრულებული სამუშაოები განიხილა.

პროექტის ფარგლებში, სამუშაოების შედეგად, 6 კმ-იანი გამანაწილებელი ქსელი და 330 აბონენტთან ინდივიდუალური კვანძები და მრიცხველები მოეწყო.

პროექტი ითვალისწინებდა წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარების, საქლორატორის, სატუმბო სადგურის მშენებლობას და მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას.

ნიდაგის სტრუქტურული თავისებურების (მაღალი მარილიანობის) გამო მოხდა არსებული მილის ზედაპირის დაზიანება, რომელიც ჩანაცვლდება ორმაგი იზოლაციის მქონე შესაბამისი მილით.

კომპანიის წარმომადგენლებმა, როგორც მერთან საუბრისას აღნიშნეს, აღნიშნული მილი შეესაბამებოდა პროცესშია და დამატებითი ხარჯების გარეშე, კომპანიის მიერ მოხდებოდა დაზიანებული მონაკვეთის ამოცვლა.

მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სამუშაოების დასრულებამდე გამოინახება ალტერნატიული გზები მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფისთვის.



საუბნო გზა სოფელი ღუზაბრამა

საბარაქოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღუზაბრამაში შიდა საუბნო გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო. პროექტი გარდამავალია და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 140 999 ლარით ფინანსდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ ბულიკაშვილი პირველ მოადგილეებთან ემზადრბოდა ერთად სოფელ ღუზაბრამის მოსახლეობას შეხვდა და სამუშაოებთან დაკავშირებული მოსაზრებები მოისმინა.


ადგილობრივებმა თვითმმართველობის პირველ პირებს მადლობა გადაუხადეს ისტორიული პროექტის განხორციელებისთვის და მოსახლეობის მხარდაჭერისთვის.



მიმდინარეობს

იუსტიციის სახლის მშენებლობა

საბარაქოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი ბილაშვილმა ქსაგარეჯოში იუსტიციის სახლის მშენებლობის და სოფელ ნინოწმინდაში 21-ე ქუჩის გზის დაგების სამუშაოები ადგილზე მონახულა.



ეძიებთ საქართველოსო დღე მიულოცეს! 44 წელი მთიელთა სამსახურში

საბარაქოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბულიკაშვილმა სოფელ გომბორში, ყველაზე ხანდაზმულ მოქმედ ექიმს – ნათელა სკვარცოვას პროფესიული დღე მიულოცა და მადლობის სიგელი და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ქალბატონი ნათელა 44 წელია, რაც სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე და პირნათლად ასრულებს თავის საეკარელ საქმეს.

„ქალბატონო ნათელა, გილოცავთ ექიმთა საერთაშორისო დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მზნეობასა და დღეგრძელობას!“

უდიდესია თქვენი ღვაწლი სოფლის მოსახლეობის წინაშე. თქვენმა ძალისხმევამ, მაღალპროფესიონალიზმმა, საქმისადმი სიყვარულმა მოქალაქეების პატივისცემა და გულთბილი დამოკიდებულება განაპირობა.

მინდა მადლიერება გამოვხატო თქვენს მიმართ - საქმისთვის და დაუღალავი შრომისთვის!


გმადლობთ, რომ ათეულობით წელი ემსახურებით რაიონს და ზრუნავთ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე“.

ავთანდილ ბულიკაშვილი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი



ქეთი ბრატიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

14 აპრილი დღეა ენის დღეა!



ვალერი მურღულია

ამაზე მეტი საქართველო მე არ ვიცი...

- ა... სეთი საქართველო მინდა...
ბ... ვერი ქართულით და ერთით...
გ... ულით სიყვარული მინდა...
დ... ედა ენითა და ბერით...
ე... რთი მუჭა მიწა მინდა...
ვ... აზის მტვერებით და მთებით...
ზ... ეცად მეცხრე ზეცა მინდა...
თ... ავის ცისარტყელის ფერთით...
ი... სლის ქობი მინდა ტყეში...
კ... ეთილ ფეხითა და ჭერის ...
ლ... ლოცვად საქართველო მინდა...
მ... მისი ტაძრებით და მრევლით...
ნ... ანა არ მოშლიდეს შეილება...
ო... რმო სავსე იყოს ქერით...
პ... ურიც მინდა ღვინის თასიც...
ჟ... ამთა კურთხეული უფლით...
რ... ამაც მოგვიყვანა დღემდე...

- ს... ანთლით ხელში წმიდა სულით...
შ... ენთან ჩახუტება მინდა...
ტ... იტად საქართველოვ ფესვით...
უ... ფლის მინდა ხელი შენთვის...
ფ... იცი ღვთისმშობლის ფესვით...
ქ... არიც მინდა შენი... წვიმაც...
ღ... ამეც აღუბლებს კვერთხით...
ყ... ანის სუნი მინდა შენი...
შ... აშვის გალობით და სტვენით...
ჩ... უმი დატირებაც მინდა...
ც... ამდე... წინაპრებზე ცრემლით...
ძ... ველი ისტორიაც მინდა...
წ... მიდი სალოცავთა ბედი...
ჭ... ილოფს გავიყოფდი შენთან...
ხ... ალხის მომლოცველი ხმებით...
ჯ... ვარსაც გავეკვროდი შენთვის...
ჰ... ამაკს დავიწვევდი ძელებით...

ამაგლარი

როცა პროფესიას კვლავ უცვლელად აირჩევდი...

ნახევარი საუბრე და სკოლა

მაღბატონი ნათელა აბულაშვილი ბავშვობაში ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ საყვარელი სოფლიდან ისეთ სოფელში მოუწევდა ცხოვრება და მოღვაწეობა, სადაც თავისი მშობლიური სოფლის მიწის მსგავსად წმინდა ნინოს ნატერფალები ეტყობოდა, სადაც წმინდა ნინოს ლოცვითა და მადლით ცხოვრობენ, მრავალდებიან მშრომელი ადამიანები.

დღეს ამავდარი ქალბატონი 78 წლისაა, აქედან 51 წელი უღამაზესი და მადლიანი სოფლის მოსახლეობის უამრავმა ნაწილმა გაიარა მის თვალწინ-დაიბადა, გაიზარდა, სწავლას ეზიარა და სოფლის გულშემატყვერად ჩამოყალიბდა. და აი, გაზეთის ამ ფურცლებიდან მინდა გავაცნოთ ეს ამავდარი პედაგოგი, რომელმაც მხოლოდ ნინოწმინდელების სიყვარული და პატივისცემა არ მოიპოვა თავისი ცხოვრების წესით, მაშ, მოვეუბნოთ ქალბატონი ნათელას მოკრძალებულ საუბარს.

დასიბაძე სოფ. ბოდბეში (სიღნაღის რაიონი). 1964 წელს დავამთავრე ბოდბის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან მივატოვე (ოჯახური პირობების გამო) სწავლა.

1968 წელს დავიწვე მუშაობა ნინოწმინდის რეაწლიან სკოლაში მუსიკის მასწავლებლად.

1977 წელს ჩავაბარე ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწესებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტზე (დაუსწრებელ განყოფილებაზე), დავამთავრე 1982 წელს.

1977 წლის სექტემბერში მომცეს კლასი. მე პედაგოგის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე, გაკვეთილი, ჩემთვის უცხო არ იყო. დედისგან და მისი მეგობრებისგან ხშირად მესმოდა, რომ მასწავლებლობა რთული პროფესიაა, ხელოვნებაა, სწავლის და აღზრდის ხელოვნება. კარგი პედაგოგი მხოლოდ მაშინ ხარ, როცა გაქვს თითოეული ბავშვის უკიდვანო სიყვარული, შეგიძლია მოზარდის ფსიქოლოგიის გაცნობა, უმცროსებთან ურთიერთობა. ყოველი დღე ფიქრობ და ზრუნავ შენს სრულყოფაზე, პასუხისმგებლობაზე, შემოქმედებაზე, ზნეკეთილობაზე. მოსწავლე შენში თავის კეთილსიმყოფელს უნდა ხედავდეს და არა შიშამდგარ პიროვნებას. ასე დამოძღვრელი შეგვი კლასში.

სკოლაში მისულს საუკეთესო პედაგოგების კოლექტივი დამხვდა: მსამხთუაშვილი (დირექტორი), მჯავახიშვილი (სასწავლის გამგე), ამღებრიშვილი, ქაკოფაშვილი,



ფისტოსის დისკო - მსოფლიოში პირველი გეგმვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტი

ფისტოსის ბრიჯოს ხანით თარიღდება და ქართველი მეცნიერების მტკიცებით მასზე "ნენანა" ქართული საგალობელია ამოტვიფრული.

1908 წელს იტალიელმა არქეოლოგმა დ. პერნიემ აღმოაჩინა საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, არქეოლოგიურ ქალაქ ფესტოსში. დისკო პირობითად დათარიღებულია ძვ. წ. 1850-1600 წლებით.

1988 წელს ბუდაპეშტში საერთაშორისო კონგრესზე უნგრელმა ენათმეცნიერმა კ. ზებიშმა წამოაყენა ფესტოსის დისკოს წარწერის ქართველური წარმომავლობის ჰიპოთეზა. მისი მტკიცება ემყარებოდა მოსახრებას, რომ წინარე ბერძნული მოსახლეობის ენა, კერძოდ პელაზგური, ქართველურ ენათა დედაა. ამგვარი ნათესაობის შესახებ მანამდე ჰიპოთეზები წამოაყენეს სხვა ენათმეცნიერებმაც.

ეს არის დედისთვის ცნობილი ჩვე-ნამდგ მოღწეული პირველი დოკუმენტი, რომელიც მრავალჯერადი გამოყენების ნიშან-წყალიებით შეიქმნა. ფესტოსის დისკოს დანიშნულება და მნიშვნელობა, ასევე მისი თავდაპირველი გეოგრაფიული წარმოშობის ადგილი დღემდე კამათის საგანია, რაც მას არქეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ საიდუმლოს სტატუსს ანიჭებს.

ფესტოსის დისკოს ნიშანთა კომპლექსის გაშიფვრის მცდელობები ხდებოდა ძველი ენებით. დისკოს იკვლევდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ენათმეცნიერები და ეთნოგრაფები.

2008 წლის 1 ნოემბერს, ლონდონში, ბარლინგტონის სასახლეში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში გამართულ ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან 100 წლის იუბილეზე, ქართველმა მეცნიერმა და მათემატიკოსმა ვია კვაშილაგამ გაამყარა დოქტორ ძებიშის და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა ჰიპოთეზა. კომპიუტერული ანალიზის მეშვეობით, რომელსაც მხოლოდ პროტო-ქართული ენა მიესადაგა - გაიშიფრა ფირფიტაზე ნახატ-ნიშნებით დატანილი ტექსტი, რომელიც უძველეს ქართულ ენაზე დაწერილი დისკოზე გაშიფრული უძველესი საგალობელი "ნენანა" პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დედადვთაბა ნანას ეძღვნება. მასში გამოყენებულ სიტყვებს კი დღემდე ხმარობენ სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში.



ნ.მარგალიტაშვილი, ზ.დარბაისელი, თ.უტიაშვილი, მ.მღებრიშვილი, ე.ჯაბადარი, გ.ნახიდაშვილი, ბ.ალადაშვილი... დიდი სიყვარულით მიმიღეს, მათგან ბევრი რამ ვისწავლე არა მხოლოდ როგორც პედაგოგმა, როგორც ადამიანმა. საერთო საქმისადმი ერთგულება, შრომისმოყვარეობა, უშურველობა, ერთმანეთის სიყვარული, სამართლიანობა, დახმარება. უფროსი კოლეგებიდან მხოლოდ კოლეგიალურ თანადგომას, გამოცდილების გაზიარებას კი არა, თითქმის დედობრივ მზრუნველობას და სიყვარულს ვგრძნობდი. ერთდროულად მივყავი სკოლაში, ერთად დავიწვე პედაგოგიური მოღვაწეობა უსაყვარლესმა, უკეთილშობილესმა, ზნემაღალმა, საუკეთესო და შეუდარებელმა მასწავლებელმა და მეგობარმა თამარ მღებრიშვილმა და მე, ნათელი მთ უხლებს. ჩემი თამარი კვიდმა იმსხვერპლა.

ალბათ დამეთანხმებით, რომ სკოლის საფუძველი და მოსწავლის სწავლების საფუძველი, საძირკველი, ბაღავარი დაწესებითი სკოლაა. სწორედ აქ უნდა მოხდეს გამართული წერა-კითხვის, სწორი ქართული მეტყველების, აზრის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების, გადმოცემის, ზეპირი თუ წერილი თვლა-ანგარიშის, ასაკის შესაბამისი არასტანდარტული ამოცანების გააზრების, გარე სამყაროს აღქმის, ბუნების მოვლენების, ეროვნული ტრადიციების, სამშობლოს, მამულის ღირებულებაზე შეფასების და სიყვარულის, მუსიკის მოსმენის, ფერების, სიღამაზის აღქმის უნარები.

ყოველივე ეს პრობლემა მქონდა გააზრებული პირველივე გაკვეთილიდან, ჩემი

პედაგოგიური ცხოვრების 51 წელი, ვგდილობდი პირნათელი, მართალი, სამართლიანი ვყოფილიყავი. მოდიოდნენ ჩემთან ექვსწლიანები-სპეცაკნი, უმწიკვლონი, უშურველნი, უანგარონი, აუძღვრეველნი, (გჩოხელს დავესესხებთ) ცნობისმოყვარენი, გაფართოებული თვალეით, ერთად ვადგოდით საკლასო ოთახის კარს და ვიყავით ჩვენ, მე და ჩემი გოგო-ბიჭები. მე ვახვედრები თვალხატულა ქართული ასოებით ნაწერ გურამიშვილის „ქმეწვილი უნდა სწავლობდეს“. მათი ასაკის და მისაწვდომობის პრინციპით ვცდილობდი მიმხვდარიყვნენ თითოეული სიტყვის, სტრიქონის შინაარსს, აზრს.

ერთად დავდიოდით ლაშქრობებზე, ექსკურსიებზე, ვაკვირდებოდით გარე სამყაროს. გაცხებული ვიყავი მათი გონიერულობით, აღქმის დიდებული უნარებით. ერთად ვსწავლობდით საყვარელი სამშობლოს ისტორიას, ზნე-ჩვეულებას, კულტურას, მწერლობას-გოგებაშვილის და სხვათა, პატარ-პატარა, მაგრამ დიდი აზრის მქონე მოთხრობებით. გუსმენდით მუსიკას-ხალხურს, კლასიკურს, მსუბუქსაც. ერთ-ერთ კლასს ვასმენინებ „ურმულს“ კ. გონაშვილის შესრულებით, გაისუსა კლასი. ვიკითხე-რომელიმე მოთხრობის გმირის მდგომარეობას ხომ არ გადმოგვცემს ეს მელოდია? შმათიაშვილმა დამისახელა მოთხრობა „ქინაქინა“ და ახსნა რატომ მიზანს მივადწვი.

ჩემი პირველი გაკვეთილი და ის პირველი კლასი არასოდეს დამავიწყდება, ისე

ისინი ჩვენს სამსახურში მოგელ ნუთს ფხიზლად არიან

უცვლელი რეჟიმითა და მაღალი პასუხისმგებლობით

მაღაძის ცენტრში, საქალაქო მიკროავტობუსების განვითარებაზე შემთხვევით ყურთ მთვარი სოფელ მზისგულში მინდორში გაჩენილი ხანძრის შესახებ, რაზედაც ორი ქალბატონი საუბრობდა. გარდა ამისა, დიდი ხანია, ჩვენი მკითხველისათვის აღარ მიგვიწოდებია ცნობები საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის, ამ უშიშარი და უანგარო კოლექტივის საქმიანობის შესახებ და გადავწყვიტეთ კვლავ ესტუმრებოდით ხანძრებისა და სხვა სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოწვრილებილ, საგარეჯოელებთან და არამარტო მათი ქონებისა და ჯანმრთელობის სადარჯჯოზე მდგომ მებრძოლ ადამიანებს. გამომართლა და როგორც ადრე, სამსახურში მისულს ადგილზე დამხვდნენ საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი ზამბარია ოტიაშვილი და სხვა თანამშრომლები. საუბარი, რა თქმა უნდა, იმ დღეს (3 აპრილი) მზისგულში გაჩენილი ხანძრის შესახებ წამოვიწყეთ. როგორც აღმოჩნდა, იქ, მინდორში, დილის საათებში გაჩენილია ხანძარი, რაზედაც შეტყობინება საგარეჯოსა და კახეთის სხვა ანალოგიურ სამსახურებს მიეწოდა და როგორც ახლომდებარე-ხანძრის ჩასაქრობად მეზობელი, კაჭრეთის მეხანძრე-მაშველები გასულან, მაგრამ მანამდე მზისგულელებს მოუხერხებიათ საკუთარი ძლებით მისი ლიკვიდაცია და კაჭრეთის მეხანძრე-მაშველებს აღარ დასჭირვებიათ საქმეში ჩარევა. ნეტავ ასე მთავრდებოდეს ყველა ხანძარი!



სულ, წლის დასაწყისიდან, - მეუბნება ბატონი ზამბარია, - გვექონდა ხანძარზე გამოძახების 60 შემთხვევა. ძირითადად ეს იყო მინდორებში და ვენახებში გაჩენილი ხანძრები: საგარეჯოში, მანავში, თოხლიაურში. მათ შორის ოთხი შენობა-ნაგებობისა და ორი ავტომანქანაზე გაჩენილი ხანძარი.

- ეტეობა წელს მთის ზონამ დაგასვენათ, არა?
- მაგ „სიამოვნებას“ გომბორის ზონის სოფლებში როგორ მოგვაკლებდნენ? წელსაც არაერთხელ მოგვიხდა იქაურთა დაუდევრობით გაჩენილი ხანძრების ჩაქრობა, მათ შორის სოფელ სასადილოსთან, კოჭბაანის მხარეს ტყეში გაჩენილი ხანძრის.

- ავტოავარიაებზე გასვლის შესახებ რას გვეტყვი?
- სულ იანვარ-თებერვალში ჩვენთან შემოსულია და სათანადო რეაგირება მოგვიხდა 24 ასეთ შემთხვევაზე.

- მარტის მეორე ნახევარში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, მოქალაქე ჯოხაძის საცხოვრებელი სახლის ხანძრის გაჩენის შესახებ მოსახლეობაში სხვადასხვა ხმები გაერცვლა. რა მოხდა სინამდვილეში იქ?
- სინამდვილე ისაა, რომ როცა ამ ხანძარზე ჩვენი მუშაკები გავიდნენ, ხანძარი გაჩენილი იყო მხოლოდ სახლის სახურავზე. რადგან დროულად მოხდა ჩვენი ინფორმირება, რასაც მყისიერად მოჰყვა ჩვენი რეაგირება, ხანძარი მალე იქნა ლიკვიდირებული.

- სამსახურის მუშაკებს ვის მოგიწიათ ამ საქმის შესრულება?
- ესენი არიან ზურაბ სამუნაშვილი ცვლის მეხანძრე-მაშველი, ლაშა სტეფანიშვილი, ივანე ქერიიშვილი, ავთანდილ პასიკაშვილი, ოთარი გუგუტიშვილი, მძღოლი გიორგი კერატიშვილი და მათთან ერთად სამსახურის უფროსის მოადგილე ბიორბი შიოშვილი.

- ხანძრებს როცა აქრობთ ხოლმე, როგორია ხალხის რეაგირება, მადლიერებას მაინც თუ გამოხატავენ ხოლმე მეხანძრე-მაშველების მიმართ?
- ზოგჯერ კი, ზოგჯერ არა. მაგრამ, ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე და ვცდილობთ მაღალი პასუხისმგებლობით მოვეყიდოთ მას.

- არა მგონია ამაში ვინმეს პქონდეს ეჭვი. თქვენ ეს თქვენი მოტივაცია არა ერთხელ დაამტკიცეთ არა მარტო საგარეჯოში, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გაჩენილი ხანძრების ქრობისას, ამ ბოლო ხანებში კი შოგში და ტრიალებულ ტრაგედიის დროს. როგორია თქვენი სამსახურის სათანადო ტექნიკითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფის მდგომარეობა. წელს ხომ არ იგეგმება რაიმე სიახლეები ამ კუთხით?
- ჯერჯერობით ტექნიკით უზრუნველყოფის საქმე ძველებურადაა, გვეყავს ორი სახანძრო მანქანა და ერთი სამაშველო პიკაპი, გაგვანია სათანადო ეკიპირება და ველოდებით სიახლეებს.



- მეხანძრე-მაშველების თეორიული და პრაქტიკული მომზადება-გადამზადების საქმე როგორ დგას?
- როგორც სხვა ანალოგიურ სამსახურებს, ჩვენც პერიოდულად გვეტარდება ტრენინგები, ამასწინათ თბილისში, სასწავლო ცენტრში გაეროს ვედიტა და დაფინანსებით, უცხოელი სპეციალისტების მიერ პირადად გავიარე თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები ხანძრების, საავარიო და სამაშველო საქმიანობის შესახებ, რის შესახებაც, რა თქმა უნდა, გამოცდილებას სამსახურის სხვა მუშაკებსაც ვაცნობთ, რაც ასე მნიშვნელოვანია მეხანძრე-მაშველების საქმიანობაში.

- ამ უახლოეს მომავალში რაიმე სიახლეები თუ არის მოსალოდნელი თქვენი სამსახურის საქმიანობაში?
- კი, სიახლეები რა თქმა უნდა იქნება მაგრამ მათზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ამ ეტაპზე როგორც ამბობენ, კარგის მოლოდინის რეჟიმში ვართ და ჩვენს საქმეს ძველებური ერთგულებით ვაგრძელებთ.

- მხნეობა და გამძლეობა არ მოგაკლოთ ღმერთმა თქვენს ამ სარისკო და საპასუხისმგებლო საქმიანობაში!

ბიძო ლაბაიშვილი

ამაზღარი

როცა პროფესიას კვლავ უცვლელად აირჩევდი . . . ნახმვარი საუბრე და სკოლა

დასასრული

როგორც სხვა დანარჩენი. მე ყველა მათით ვამაობ, საუკეთესო მოქალაქეებად, ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. აირჩიეს პროფესიები, რულუნებით ემსახურებიან პროფესიებს. ბევრნი არიან. სამმა მოსწავლემ ჩემი პროფესია აირჩია. მათგან ერთი-მანანა როსტომაშვილი ჩვენი სკოლაში მოვიდა მასწავლებლებად. ბედნიერებაა, გუშინ ეს პაწაწინა გოგო თვალგაბრწყინებული ინტერესით შემოგცქეროდა. დღეს კი შენი კოლეგაა და საუკეთესო, აღიარებული მასწავლებელი. არა მხოლოდ ჩვენს სოფელსა და რაიონში, რესპუბლიკაში-მენტორი მასწავლებელი, მისი პროექტები გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და მრავალი აღიარება მოიპოვა. მრავლად არიან, მათი ჩამოთვლა ცოტა გამჭირდება: საუკეთესო მეურნეები, დისახლისები, დღეები მამები, მედიცინის მუშაკები, სამართლის მცოდნენი, ფინანსისტ-ეკონომისტები, ბანკის თანამშრომელი . . . აქვე აუცილებლად უნდა ვახსენო, მოვიგონო დიდზე დიდი ტკივილები ჩემი, რომელთაც დატოვეს საწუთრო: გამანძულაშვილი,



ნაწილებას, თავდაუზოგავობასაც მოითხოვდა. გადაჭარბებდა ნუ ჩამითვლით და სკოლის კარებს რომ შევადგოდი, სულ მაგიწვდებოდა ყოველნაირი ოჯახური და ყოფითი განსაცდელები. გავზარდე ორი შვილი, მყავს ხუთი შვილიშვილი, ხუთი შვილთაშვილი, ახლა მათ უკეთესად ქართულ ხალხურ ზღაპრებს, გოგებაშვილის დროინდელ დედა ენას, ბუნების კარს, ვუმღერი „მზე შინა და მზე გარეთას“, საქართველოს სხვადასხვა კუთხის „ივანანას“ . . .



რამდენჯერაც არ უნდა მომიხდეს პროფესიის ახლიდან არჩევა, ყოველთვის იმავე პედაგოგობას ავირჩევდი და თანაც დაწვებითი განათლების, მოსწავლეობაში, სკოლის დამთავრების დროსაც სურვილი მქონდა ჩამებარებინა თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ, როგორც ხდებოდა და ალბათ დღესაც ხდება, მშობლებს უნდოდათ ჩამებარებინა იქ, სადაც ჩავაბარე, იმიტომ რომ მაშინ ახალი იყო ეს ფაკულტეტი, ფეხს იდგავდა ჩემს პროფესიაში-მასწავლებლობაში. ამიტომაც, არასოდეს არ გავცვლი სხვაზე, მადლობელი ვარ ბედისწერის, ბოდიშელი გოგო სოფელ ნინოწმინდაში დაგვუძენდი, შევიყვარე და შემეყვარა სოფელმა.

თითოეულ ქართველს, მით უფრო თითოეულ პედაგოგს ვულოცავ „დედა ენის“ დღეს. მუდამ გვახსოვდეს სულმნათი, „დედა ენის“ შემქმნელი დიდი იაკობ გოგებაშვილი. გვახსოვდეს, აღზარდოთ მომავალი თაობა ისეთინ, რომ მიხვდნენ იმ ერის შვილები არიან, რომელთანაც „დედა ენას“, ბალადას „ვეფხისტყაოსანს“ მეგლი დაუდგა.

წაიკითხონ და წაუკითხონ რევაზ ინანიშვილის სიტყვები: აი, ყველაზე მეტად რა უნდა ჩაუუნერგოთ პატარას: ლოცვებში რომ წვება, თუ წუთით მაინც შეიპყრობს ფიქრი, რომ სადღაც ვიდაცას სცივა, სადღაც ვიდაცას ენატრება ლოცვინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუნქის ძირას, ანდა ცხოველი წამუტუნებს და ილოკავს ჭრი-

ლობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ. სკოლაც ხომ ნამდვილი სამჭედლოა ადამიანური ღირსებებისა და დროებულების ჩამოყალიბებისა. გავეფრთხილდეთ და გვიყვარდეს ერთმანეთი, სიყვარულით გაიყვარდეს თითოეული ადამიანის სული და ბუმლი.



P.S. 2023 წლის სექტემბრის ერთ ლამაზ დღეს ქალბატონ ნათელა ბუგულაშვილის ნინოწმინდის საჯარო სკოლაში დაბადებიდან 78 წლის შესრულება საზეიმოდ მიულოცა და სკოლაში დამსახურებულ პედაგოგს სკოლის პედაგოგთა პირველი ვარსკვლავიც გაუხსნა. ამ ფოტოებზეც სწორედ ამ ლამაზი დღის სიბოძა.

“მშობელ მიწაში მიღვას ფესვები!”

რამი სოფელი მხაროსთავი

საბარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „მშობელ მიწაში მიღვას ფესვები“ ჟიურის მოწონება და საჩუქრებიც დაიმსახურა სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლის ლიტერატურული კლუბის „კარგი მკითხველის“ (კლუბის ხელმძღვანელი-ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ზარეზან პირატიშვილი) VIII-IX-XI კლასის მოსწავლეების ანა გაგნია შვილის, ნიკა დათუნა შვილის, ანი ონა შვილის, ქეთი გაგნია შვილის, ქეთი ზერქეზი შვილის, გიორგი კერატი შვილის, ია კერატი შვილის, საბა ბეჟიტა შვილის, დათა დათუნა შვილის თემურ ლაღაძე შვილის, ქეთი გაგნია შვილის მიერ წარმოდგენილმა თემაში, რომელსაც დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ. ვფიქრობთ, ინტერეს-მოკლებული არ იქნება უფრო ფართოდ გავიცნოთ სოფელ წყაროსთავის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა, სადაც ბევრი სასახლო ადამიანი დაიბადა და გაიზარდა და დღესაც იზრდებიან მშობლიური სოფლის სახელის გამოსამზებლებად.



სია ამ თარიღის შემდეგაა აგებული. სავარაუდოდ, ის მე-19 საუკუნეშია აშენებული.



ეკლესია დარბაზულია, აქვს ორი შესასვლელი: დასავლეთიდან და სამხრეთიდან. საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და აგური. კედლები ძირითადად რიყის ქვითაა ამოყვანილი. გარეთა კუთხეების წყობაში აგურია გამოყენებული.

აღმოსავლეთით ნაღისებრი აბსიდია. ჩრდილოეთით არის სამკვეთლო, სამხრეთით კი-სადიაკენე. სამკვეთლო აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი ოთხკუთხა სარკმლითაა განათებული, სადიაკენე კი-უსარკმლოა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს.

ფასადებზე ორივე შესასვლელი მარტივადაა გაფორმებული. დასავლეთის ფასადზე შესასვლელის მარცხნივ ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი

2015 წელს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამხრეთის შესასვლელის წინ მოაწყვეს სამსაფეხურიანი კიბე, აღდგა ლავგარდნის დაზიანებული ნაწილები.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე, გარედან, სამხრეთ შესასვლელთან ამოკვეთეს ოთხკუთხა ნიშა, რომელშიც მოთავსდა ქვის ფილა წმ. გიორგისა და წმ. ნინოს რელიეფური გამოსახულებით, აიგო კანკელი და ეკლესია შიგნიდან გაჯიშა შეიღესა. გარედან ეკლესია გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ვარაუდობენ, რომ ტაძრის სახურავში ბოთლია დამარხული. გადმოცემით იცინან, რომ ამ ბოთლში ტაძრის შესახებ დაწერილებითაა დაწერილი მისი დაარსების ისტორია, რომელიც ამავე სოფლის მაცხოვრებლების მიერაა შედგენილი, თუმცა ამ ბოთლის აღებას ვერაინ ბედავს.

პირველად ტაძარი საკუთარი ხარჯით აღადგინა სოფლის მკვიდრმა გივი დათუნაშვილმა. მას ამ საპატიო საქმეში მხარში ედგნენ თანასოფლელები. ეს იყო 1998-2000 წლებში. შემდგომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 2015წ.

დრეიდის წმ. ბიორგის სალოცავი



წმ. ბიორგის სალოცავი, რომელიც ე.წ. დრეიძეში მდებარეობს, თარიღდება მე-19 საუკუნით. არსებობს გადმოცემა, რომ დღევანდელ წყაროსთაველთა წინაპრები სახლობდნენ ამ ტაძრის შორიანხლოს და მოგვიანებით გადმოსახლდნენ იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ.

შენობის კედლები რიყის სხვადასხვა ქვითა და კირის დუღაბითაა ამოყვანილი.

ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი შიგნიდან თაღოვანია, გარედან-არქიტრავული. დარბაზის სამხრეთ კედელში

თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. პორტალზე ხუთი ჯვარია გამოსახული, მათ შორის სიცოცხლის ხის თითო სტილიზებული გამოსახულება.

მე-20 საუკუნის მიწურულში ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესია თვითნებურად გაურემონტებია, რის გამოც მას ბევრი საყურადღებო ელემენტი დაკარგული აქვს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერის, ბატონ ბადრი დრეიდის ცნობით, აღნიშნული ტაძარი ტბეთის წმ. გიორგის სახელითაა ცნობილი. ტბეთი მდებარეობს ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, აგებულია X ს-ში, ამჟამად თურქეთის წყაროსთაველების დრეიდის სამხრეთში ცხოვრების პერიოდისგან არსებობს ასეთი გადმოცემა: თათრებთან ბრძოლის დროს თავი გამოუჩინა ერთ ღონიერ ვაჟკაცს, რომელიც შუა თათრებში შეგარდნილა და ხმლით უსოცია ისინი. ამის დამნახველებს უთქვიათ: “შეხედეთ, შეხედეთ, როგორ კერატივით ტრიალებსო”. აქედან წარმომდგარა გვარი-კერატიშვილი, ხოლო იმ ადგილისთვის, სადაც მათ უცხოვრიათ, დაურქმევიათ “კერატიანთ ხევი”.

თათართა შემოსევის გამო შეწუხებული ხალხი აყრილა და სამოსახლოს საძებნელად ქვემოთ წამოსულა, აქ მათ უნახავთ წყალი, რომელსაც ახლა “ბებერ წყალს” ეძახიან. ეს წყარო ზამთრობით თბილი და ზაფხულობით ცივი დასალევი ყოფილა. წყაროსთან ახლოს მდგარა ძალიან დიდი ხნის მუხა, სავარაუდოდ, 200 წლის. ამ მუხას ეძახდნენ “ბებერ მუხას”. დროთა განმავლობაში მუხა უფრო დაბერებულა და ერთხელაც ქარს წაუქცევია. მის სახელს შეჩვეულმა ხალხმა წყაროსაც მისი სახელი დაარქვა. წყაროს გარშემო ძალიან დიდი ტყე ყოფილა, ხალხიც აქ დასახლებულა. ზოგი დასახლებულა “ბებერი წყლის” ზემოთ, ზოგი კი-ქვემოთ. ყველა ამ წყლით სარგებლობდა. ისინი ერთმანეთთან კავშირს არ წყვეტდნენ, ასე წარმოიშვა სოფლის ორი პატარა დასახლება, რომელსაც “ზემო უბანს” და “ქვემო უბანს” უწოდებდნენ. ზემო უბანს დეთისმშობლის მშობლების ტაძრის გარშემო უცხოვრია. ისინი მისდევდნენ მევენახეობასა და ზოგადად, მიწათმოქმედებას.

სვეტიცხოვლის ეკლესია

ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 5კმ-ზე, პატარა ბორცვზე. თარიღდება მე-19 საუკუნით. სოფლის მოსახლეობის ნაწილი ეკლესიას კვირაცხოველს უწოდებს.



ისტორია

სოფელი წყაროსთავი მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მდინარე ივრის ზეგანზე, მდინარის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 700 მეტრზე. იგი ქალაქ საგარეჯოდან დაშორებულია 4კმ-ით.

2014 წლის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობდა 694 ადამიანი, ხოლო 1971 წლისათვის-779.

სამწუხაროდ, სოფლის შესახებ ისტორიული მონაცემები ძალიან მწირია. გაზეთ “დროების”(1876, №51) ცნობით, ტფილისის მაზრაში, 1876 წლის მონაცემებით, ივრისპირეთის შემადგენლობაში შედიოდნენ შემდეგი სოფლები: პატარა და დიდი ლილო, ნორიო, მარტყოფი, ახალსოფელი, საცხენისი, გომბორი, უჯარმა, ხაში, პეტრესდორფი, მარიელფერდი, სართიჭალა, მუღანლო, მალხაზოკა, პატარაქუდი, აღბულახი, ნინოწმინდა, საგარეჯო, გიორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი, თოხლიაური, მანავი, ბურღიანი, ჩაიღური, კაკაბეთი.

არ ვიცით, როდის დაარსდა წყაროსთავი, მაგრამ მას “ახუღახი” ერქვა, რაც კარგ წყალს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, სავარაუდოდ, მე-17-მე-18 საუკუნეში სოფელს თავს დასხმია “ყიზილბაშები”, რომელთაც სოფლის აკლების შემდეგ დაუღვევიათ იქ არსებული უგემრიელები წყაროს წყალი და გაოცებულებს უთქვამთ: რა კარგი წყალიაო. სწორედ ამის შემდეგ დარქმევია სოფელს “ახუღახი”.

სოფელს “წყაროსთავი” ეწოდა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში. საგარეჯოს რაიონს ერთ პერიოდში ხელმძღვანელობდა რაიკომის მდივანი ნადაშვილი. მას ერთ დღეს შეატყობინეს, რომ შესამოწმებლად ჩამოდიოდნენ ვიღაც პირები” ზემდგომი ორგანოებიდან”. მან ახუღახის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს-კონსტანტინე(კოტე) კერატიშვილს დაურეკა და უთხრა, რომ პურმარილი გაემზადებინა და შემოწმების შემდეგ სუფრა სოფლის მიდამოებში გაემალა. საბჭოს თავმჯდომარემ ეს ბრძანება შეასრულა. სოფლის ახლოს, ბუნებაში, ერთი წყარო ეგულებოდა. მან სუფრა იქ გააშლევინა. როცა სტუმრებმა ქეიფი დაასრულეს და წახასხველად მოემზადნენ, ერთმა სტუმარმა იკითხა, რატომ ერქვა ამ სოფელს “ახუღახი”. როცა ასეთი კარგი წყარო გაქვთ, ადუქით და წყაროსთავი დაარქვითო. ეს რჩევა მიიღეს და ამის შემდეგ ორ სახელს ეძახდნენ სოფელს, ხოლო მალე ოფიციალურ სახელად წყაროსთავი უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ეს ისტორია თავად კოტე კერატიშვილმა უამბო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს- ცინარ დიდმელაშვილს.

1949 წლის 13 ოქტომბერს ადმასკომის სხდომაზე შეიმუშავეს დადგენილება, რომ “ახუღახს” უნდა დარქმეოდა “ წყაროსთავი”.

წმიდა იოანეშვილისა და წმინდა ანას სახელობის ტაძარი

წმიდა იოანეშვილისა და წმინდა ანას სახელობის ტაძარი მხოლოდ სამია საქართველოში. ერთი მათგანი ჩვენს სოფელშია. იგი დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით ასიოდე მეტრზე, შემადგენულ ადგილას, ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე.

ეკლესია 2015 წლამდე მიიჩნეოდა დეთისმშობლის სახელობისად, ასე იცოდნენ თაობებმა და მხოლოდ ამ წელს (2015) დაუბრუნდა ტაძარს ზუსტი სახელწოდება.

ეკლესიის კედლებში ჩასმულია წარწერიანი საფლავის ქვები. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩასმულ ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან ირკვევა, რომ ქვა საფლავზე 1758 წელსაა დადებული. ცხადია, რომ ეკლესია



“მშობელ მიწაში მიღბას ვსვებო”

რამი სოფელი მხაროსთავი

ბაბრქველია

2002 წელს ეკლესია თვითნებურად გაურემონტებიათ გაჯით შეუღესათ და თუნუქით გადაუხურავთ.

ეკლესია დარბაზულია. შენობის კედლები ქვიშა-ქვიშა და კირის ხსნართა ამოყვანილი. კარ-სარკმლები სუფთად და ნათელი ქვებითაა გამოყვანილი. შესასვლელი დასავლეთიდანაა.

ტაძრის აგების შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: დღევანდელი ტაძრის შორიასლოს მწყემსები პურობდნენ ,ამ დროს თავს დაესხნენ ლეკები. ყველამ მოასწრო გაქცევა, გარდა ერთისა, რომელიც ხეზე აცოცდა და იქ შეაფარა თავი. გაშლილი სუფრა რომ დაინახეს ლეკებმა, შემოუსხდნენ და დაიწყეს დრუობა. ერთ-ერთმა ბეჭში ჩაიხედა და დაინახა ხეზე ასული ადამიანი, გვარად უნაფქოვილი. განრისხებულმა ლეკებმა ის კაცი ჩამოიყვანეს ხიდან და თავი მოკვეთეს. მოკვეთილმა თავმა იგორა და სადაც გაჩერდა, ხალხმა იქ ააგო ტაძარი, რომელსაც **სვეტიცხოველი** უწოდა. აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდა სოფლის მკვიდრმა ოთარ ბეჭიშვილმა (84 წლის).

არსებობს კიდევ ერთი ისტორია. რამდენიმე წლის წინ ტაძრის შემოგარენში, ტყეში, გავრცელდა ხანძარი. საშიშროება იყო, რომ ეკლესიაც დამწვარიყო, მაგრამ როცა ხანძარი ტყეს მიადწია, თავისით ჩაქრა.

ჩვენ მივაკვლიეთ კიდევ ერთ ლეგენდას სვეტიცხოველის შესახებ. ტაძრის ზემოთ დიდი ტაფობი ყოფილა, იქ უცხოვრია ერთ ჯანდონან მეცხვარეს, რომელსაც ძალიან ბევრი ცხვარი ჰყოლია. ლეკებს შეუტყვიათ ეს ამბავი და წართმევა გადაუწყვეტიათ. ერთ საღამოს მეცხვარეს ცხვარი დაუკ-



ლავს და მის ბეჭში გაუხედავს, უნახია, რომ თავდასხმასა და მოკვლას უპირებდნენ. იმავე საღამოს დიდი გუჯა გაუკეთებია, წყალი ჩაუსხამს და მთელი ცხვარი შიგ გაუტარებია კვალის ასარეგად. მართლაც, მორე დღეს ამ ადგილს ლეკები დასხმინ თავს, მაგრამ ვერაინ უპოვიათ. უნახავთ ახალი ცეცხლნანთები და იქვე უპოვიათ აგრეთვე ცხვრის ბეჭი, რომელშიც ჩაუხედავთ და უნახავთ, რომ ცხვარი წყალშია გასული. მათ უფიქრიათ, რომ ამხელა მდინარეში ცხვარს როგორ უნდა გაეგლო, იქვე უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვიათ და უკან გაბრუნებულან. ამის შემდეგ აუშენებიათ სალოცავი, რომელსაც ამ მეცხვარის პატივსაცემად “სვეტიცხოველი” დაურქმევიათ. ეს გადმოცემა გვიამბო სოფლის მკვიდრმა ჯუღუტა კერატიშვილმა (81 წლის).

წყაროსთავი

ამ ტაძარს წყაროსთავი ჰქვია, დიას, წყაროსთავი აშენებულია მე-10 საუკუნეში, მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, მნიშვნელოვანი საკათედრო ტაძარი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ ვვარაუდობთ: როდესაც ტაო-კლარჯეთი დაეკარგეთ, ხომ არ გადმოიხვეწა იქიდან ადამიანი, რომელმაც აქ დააარსა სოფელი და თავისი მშობლიური ტაძრის და სოფლის (სოფელსაც წყაროსთავი ერქვა) სახელი უწოდა, ვინ იცის? ხომ არსებობდა ორი რუსთავი?!

ყველაზე ცნობილი და საპატიო წყაროსთაველი მიტროპოლიტი ბაიოზი (კერატიშვილი)



წყაროსთავი პატარა სოფელია, გამოჩენილი ადამიანებიც ცოტაა, მაგრამ ჩვენ გვყავდა მიტროპოლიტი გაიოზი და ამ პიროვნებით ყოველთვის ვიამაყებთ...

მიტროპოლიტი გაიოზი (ერისკაცობაში ბიძინა ტიტეოს ძე კერატიშვილი) დაიბადა 1945 წლის 24 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავში, სწავლობდა ჯერ სოფლის რვაწლიან სკოლაში, შემდეგ საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, რის შემდეგაც ჩაირიცხა და სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მანამდე სამხედრო ბეგარის მოუსხდლობის გამო უარი უთხრეს მცხეთის სასულიერო სასწავლებელში ჩარიცხვაზე. 1963-1965 წლებში სამხედრო სამსახურის შემდეგ აღადგინეს უნივერსიტეტში. სწავლის პარალელურად მუშაობდა ჯერ საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის, შემდეგ პატარძელის გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად.

1969 წელს უწმინდეს ეფრემ II-ის რჩევით, ბიძინა კერატიშვილმა დატოვა საერო სამსახური და ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, ერთი წლის შემდეგ პატრიარქის კურთხევით დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოში საქმის მწარმოებლად.

1971 წლის 14 დეკემბერს ეფრემ მე-2-ემ ბიძინა კერატიშვილი ადკეცა ბერად და უწოდა სახელად გაიოზი. 17 დეკემბერს ნათელულის წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში აკურთხა დიაკვნად. მანვე იმავე წლის 19 დეკემბერს, ნიკოლოზობას, ბათუმში ხელი დაასხა მღვდლად.

მღვდელ-მონაზონი გაიოზი აგრძელებდა საპატრიარქოს კანცელარიაში საქმიანობას. ამავე დროს მას ევალებოდა ყოველდღიური ღვთისმსახურება სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1972 წლის მარტში კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ მე-2-ემ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს დაუგზავნა შეტყობინება შეკითხვით მღვდელმონაზონ გაიოზის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანის შესახებ და გამოითხოვა წერილობითი პასუხი. 1972 წლის 26 მარტს მღვდელ-მონაზონი გაიოზი დიდმარხვაში წილქნელ ეპისკოპოსად აკურთხეს სიონის საკათედრო ტაძარში. იმავე დღეს წილქნელი ეპისკოპოსი გაიოზი დაინიშნა **პატრიარქის ქორეპისკოპოსად**.

ეფრემ მე-2-ის გარდაცვალების შემდეგ პატრიარქად აირჩიეს ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დევდარიანი), რომელმაც ეპისკოპოსი გაიოზი მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის, ანუ **კათალიკოსის მოადგიულად** და მცხეთის **სასულიერო სემინარიის რექტორად** დანიშნა. სემინარიაში იგი კითხულობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, ჰომილეტიკას, საერთაშორისო სამართალს.

1973 წლიდან ეპისკოპოსი გაიოზი ადგენდა და გამოსაცემად ამზადებდა საქართველოს ეკლესიის კალენდარს.

1976 წლის 4 ივნისს უწმინდესმა და უნეტარესმა დავით მე-5-ემ ეპისკოპოსი გაიოზი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა.

1978 წელს, 25 მაისს, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა მიტროპოლიტი გაიოზი დააპატიმრეს საეკლესიო ქონების მითვისების ბრალ-

დებით. მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია, ჩამოერთვა მღვდელმთავრის ხარისხი და დაიკვანეს ერისკაცის რანგი. გასამართლების შემდეგ სასჯელის მოსახდელად გაიგზავნა დაღესტანში, საიდანაც მიხეილ გორბაჩოვის მიერ მიღებული ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს 1989 წელს, 11-წლიანი პატიმრობის შემდეგ.

მიტროპოლიტი გაიოზი გარდაიცვალა 2016 წლის 19 მარტს. დაკრძალულია წმინდა ნინოს ტაძრის ეზოში, სოფელ ნინოწმინდაში.

აღსანიშნავია, რომ მას აღუდგინეს მიტროპოლიტის ხარისხი, რაც იმას ნიშნავს, რომ მიხედნენ და შეეებულ შეცდომას.

გთავაზობთ მიტროპოლიტი გაიოზის ლექსებიდან ერთ-ერთს

მცხეთობას

მირონმდინარე სვეტიცხოველი, დეთის სასწაული, ცით მოვლენილი, მადლის მწენი და მადლის მთოველი, ემბახი, სულის დამატკობელი.

აქ წინაპართა აჩრდილებს ვხედავ, აქ მეფე გალობს მირონცხებუელი, აქ ხომ სიცოცხლე ზემობს ღმერთთან, აქ სიკვდილია დამარცხებუელი.

სვეტიცხოველი - ქართლის დიდება, და კელაპტარი ჩაუქრობელი, მისთვის სიცოცხლე არ მომწყინდება, მისით ვარ მხნე და დაუცხრომელი!

სვეტიცხოველი - სულის ზეიმი, ცისა და ქვეყნის ბედნიერება, აქ უკვდავებას დაუღვამს ტახტი, აქ ქვაში აყვავის მშვენიერება!

მწიფობისთვისაა, მასპინძლობს მცხეთა, განსცხვების ზეცა და მთა და მდელი, კამის წირვაზე, თვით მაცხოვარი, დღეს კვართით ამოსავს მთელ საქართველოს

ჯანმრთელობის სამსახურში ელენე კვიციანი



ელენე კვიციანი დაიბადა 1923 წლის 23 ნოემბერს სოფელ კაკაბეთში. 1944 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რის შემდეგაც განაწილებით მუშაობდა სოფელ გიორგოწმინდაში. ომის დასრულების შემდეგ, 1945 წელს დაქორწინდა ლაზარე დათუნაშვილზე და დაიწყო ცხოვრება წყაროსთავში. მათ შეეძინათ სამი შვილი: ნუნუ, გივი და თამილა დათუნაშვილები, რომელთაგან ორმა- ნუნუ და თამილამ დედის პროფესია აირჩიეს.

ელენე ექიმია 1945 წლიდან 1997 წლის 23 ნოემბრამდე. გარდაცვალების დღემდე მუშაობდა წყაროსთავისა და ნინოწმინდის ამბულატორიის გამგედ. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ელენე (ელიკო) ექიმი დაუღალავად ემსახურებოდა ორი სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს. სხვადასხვა დროს მოპოვებული ჰქონდა სიგელები და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები. ის ყველასათვის საყვარელი ექიმი ბრძანდებოდა, მის მიერ გამოწერილ წამლებსა თუ დანიშნულ მეურნეობაზე მეტად მისი თბილი საუბარი და ტკბილი მოპყრობა კურნავდა ადამიანებს.

ამბულატორია დღესაც ფუნქციონირებს. მას სათავეში უდგას ელენე ექიმის რძალი, ქალბატონი **ზაირა აბუღაზიანი**. ასევე

მუშაობენ **ნანა შანშიაშვილი, ზორანა სურგანიძე, მაია უსტიაშვილი**.

მათ ასახელებს წყაროსთავი **ლაზარე (ლალო) დათუნაშვილი** საფეხბურთო კლუბ “გარეჯი 1960-ის”



ხელმძღვანელი ლაზარე დათუნაშვილი წყაროსთავის მკვიდრია.

დაიბადა 1985 წლის 6 მარტს საგარეჯოში. თავად ყოფილი ფეხბურთელი-**საქართველოს, მოლდოვისა და ლიტვის საფეხბურთო გუნდის წევრი** უკვე მე-6 წელია, რაც საგარეჯოს საფეხბურთო კლუბს მენეჯერობს. წარმატებული ფეხბურთელიდან განაგრძო კლუბის მენეჯერის საქმიანობა და დღეს უკვე უმაღლესი ლიგისთვის იბრძვიან.

ნუბრი ბაბნიაშვილი დაიბადა 1972 წელს საგარეჯოს რაი-



ონის სოფელ წყაროსთავში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სპორტის აკადემიაში, არის საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, სამიჯერ ჭიდაობა სამბოში. ნუბრი გაგნიაშვილი ასევე არის ორგზის მსოფლიო ჩემპიონი. არის აგრეთვე სამგზის ევროპის პრიზორი, საკავშირო და საერთაშორისო ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებული ქართულ ჭიდაობაში. მინიჭებული აქვს საკავშირო და საერთაშორისო სპორტის ოსტატის წოდება ქართულ ჭიდაობაში (1989 წელს). საპატიო წოდება ჭიდაობა სამბოში, ძიუდოში. არის საქართველოს სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში. საბჭოეთისა და სახელმწიფოების მრავალი ქვეყნის საჭიდაო ხალხიანე მიღებული აქვს უამრავი სპორტული ჯილდო. 1989 წელს შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

ნიკოლოზ გაგნიაშვილი სპორტულ მოღვაწეობას განაგრძობს მწვრთნელის რანგში, მომავალ სახელმწიფო ფალანგებს უზრდის საქართველოს. ასევე მუშაობს სპორტის მასწავლებლად.

ჩვენ სკოლა

ჩვენ სკოლა მდებარეობს სოფლის ცენტრში. გარს უღამაზესი ნაძვები აკრავს, თუმცა სიმშვიდისა და პარმონიის ატმოსფეროს, მშვენიერი ბუნების გარდა, ქმნიან ჩვენი პედაგოგები, რომლებიც გვასწავლიან მოყვასისა და სამშობლოს სიყვარ-

ბაბრქველია მ-7 გვირგვინი

“გზოგელ მიწაში მიღბას უსვამი” ჩვენი სოფელი ჩვენს სოფელში

დასასრული

ულს, ერთიანობას, გუნდურობას და ა.შ. აქ ყოველი მოსწავლის ტკივილი და სიხარული გულთან მიაქვთ, ცდილობენ მათი ინტერესების დაცვას და გათვალისწინებას.

სულ მალე, 2024 წელს ჩვენი სკოლის დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. რამდენი თაობა აღიზარდა ამ კედლებში, რამდენი თბილი მოგონება გაატანეს აქედან სულის საგზადად.

სკოლის ისტორია კი იწყება ასე: 1921 წელს ვახილ გაგნიაშვილის ბინაში დაარსდა ახლებულის “ორწლიანი სკოლა”, რომლის პირველი მასწავლებელი იყო 60წა ბედიანიშვილი. მის სახელთანაა დაკავშირებული წერა-კითხვის გავრცელება სოფელში. იგი ასწავლიდა როგორც სასკოლო ასაკის ბავშვებს, ისე მოზრდილებს.

1923 წელს გაგნიაშვილის ბინიდან სკოლა გადმოიტანეს ლუკა კერატიშვილის ბინაზე. მასწავლებლები: მარგო დიაროვი და მარო ქურხული.

1924 წელს დაიწყო აშუამად არსებული სკოლის მშენებლობა, რომელიც შედგებოდა 3 საკლასო ოთახისა და სამასწავლებლოსგან. ასწავლიდნენ ალექსანდრე ციციავი, მარგო ფარცვანია, მარგო ქურხული და მარგო დიაროვი.

1930 წელს აღნიშნულ შენობას დაემატა ერთი საკლასო ოთახი და მიიღო სახელწოდება “ახლებულის დაწესებულება”. გამგე მასწავლებელი იყო ალექსანდრე ციციავი. მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენდა 54-ს.

1931-37 წლებში გამგე მასწავლებელი იყო ნინა ვრქელაშვილი, მასწავლებლები: ელენე ხუციშვილი, მარო კურდღელაშვილი და მარო დარბაისელი.

1937-41 წლებში გამგე მასწავლებლად იყო ჭიჭიკო რუხაია, ხოლო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ნინო ოგანეზოვი,

მარო დარბაისელი, ნინა დათუნაშვილი, ნინა კერატიშვილი და გიორგი ნასვიდაშვილი.

1942-46 წლებში გამგე მასწავლებელი იყო პაშა ხაუაღია. ასწავლიდნენ ქეთო წიქაური, ზინა ფირცხალავა, ნინა ბეჟიტაშვილი და შურა ოკინაშვილი.

1946 წელს სკოლა გადაკეთდა რვაწლიანად.

1943-53 წლებში სკოლის დირექტორად მუშობდა მარიამ ჯაბადარი, სასწავლო ნაწილის გამგედ ეთერ გელაშვილი, ამ დროს ასწავლიდნენ ალექსი კერატიშვილი, ანო ოგანეზოვი, ვასო კერატიშვილი, ნატაშა ბეჟიტაშვილი, ნადია ვალკოვა, ქიტა ბუზიაშვილი, ნუნუ ახარიაშვილი, ქეთო ასთაიშვილი, ზინა ფირცხალავა, ნათელა ჯადუგიშვილი, ლაზარე დათუნაშვილი, ნუგზარ ჭანტურია, ქეთო ქაიხოსროშვილი.

1953-66 წლებში სკოლის დირექტორად მუშობდა ზინა მამისაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგედ კი-ლაზარე დათუნაშვილი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: მკვებლა სინჯიკაშვილი, ელენე კოშორიძე, იზა შუბაძე, ლენა ჯაველიძე, ანგელინა ბახტაძე, გიორგი ალბუროვი, თინა მელიქოვა, ანზორ ორკოშნელი, გუგული ოდიკაძე, ნაზი ბლუიშვილი, თამარ შიოშვილი. 1966 წლიდან სკოლის დირექტორად მუშაობს ნანული ჩიხლაძე, სასწავლო ნაწილის გამგედ 1969 წლამდე ალექსანდრე ნეკრესელაშვილი, ხოლო 1969 წლიდან ნორა გოგ-



ინაიშვილი.

ამ დროისთვის სკოლას უკვე ჰქონდა საცდელი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც დაურგავენ 395 ვაშლისა და მსხლის ნერგი, ხოლო სკოლის ეზოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავზე, ე.ი. 1971 წელს დაურგავენ 50 ძირი ფიჭვისა და კვიპაროსის ნერგი. როგორ გამოიყურებოდნენ ისინი, კარგად ჩანს სკოლის ძველ ფოტოზე, ხოლო დღეს ისინი, 52 წელის შემდეგ, ასეთები არიან: მართლაც ნახევარ საუკუნეში ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში, ჩვენს ქვეყანასა და სოფელში.

ამ პერიოდში

სკოლის დირექტორები იყვნენ: ვალერიან კურდღელაშვილი (1977-1995) ნინელი მუჩიაშვილი (1995-2007), ნატო კურდღელაშვილი (2007-2012), ხოლო 2012 წლიდან სკოლის დირექტორია მაია ნადირაძე.

საბავშვო ბაღი

შენობა, რომელშიც საბავშვო ბაღია განთავსებული, აშენდა თორმეტი წლის წინა. ძველი შენობა კი, რომელშიც სკოლის შრომის კაბინეტი ფუნქციონირებდა 25 წლის წინ გადაკეთდა ბაღად. რადგან ახლანდელი ბაღის შენობაც ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებს, დაგეგმილია 2024 წლიდან ახალი შენობის აშენება. საბავშვო ბაღის მენეჯერია ნინელი მუჩიაშვილი

ბავშვების შენობა

სოფლის გამგეობის შენობა აშენდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. აქ განთავსებულია წყაროსთავისა და ნინოწმინდის გამოგებები, ბიბლიოთეკა. სოფლის გამგეობელი ამჟამად არის გიორგი კერატიშვილი.



სკორტი

საპარტოვო ჩემპიონატზე ჩართულ ძიღობაში ორი ოქრო, ერთი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო



2-3 აპრილს ქალაქ კასპში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიღობაში 2007-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებში. საქართველოს ყველა კუთხისა და მუნიციპალიტეტების ფალანგებთან ერთად ამ ასპარეზოზე თავიანთ ძალებს ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ აღსაზრდელებიც სცდიდნენ და ჩემპიონატი არც თუ ისე ურიგო შედეგებით დაამთავრეს. მათ ამ დიდ ასპარეზოზე ორი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს და რომ არა ჩვენი მსაჯეების დამახასიათებელი „სისუსტეებისა“, შეიძლება ვერცხლის ნაცვლად ოქროს მედალი ჩამოეტანათ კასპიდან.

ახლა რაც შეეხება ჩემპიონატის გამარჯვებულებსა და პრიზორებს. პირველი წარმატება და ვერცხლის მედალი საგარეჯოელებს მზისგულის ძიუდოს სექციის (მწვრთნელი სოსო ჭიკაძე) წევრმა მიხაკა ზირაძემ მოუტანა 50 კგ. წონის კატეგორიაში გამართულ ხუთდღე შეხვედრაში დაუმარცხებლად იჭიდავა, რის შედეგად ჩემპიონობაც მიანიჭეს, მაგრამ გამოცხადებიდან ერთ წუთის შემდეგ მსაჯეებმა გადაწყვეტილება შეიცვალეს და საბოლოოდ მერაბი II ადგილზე აღმოჩნდა.

სამაგეროდ, ჩემპიონობა არავის დაუთმო 55 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარევე გიორგიწმინდის ძიუდოს სექციის ძიუდოისტმა ლუბა ღარსიანაშვილმა (მწვრთნელი გონა მეკოიშვილი). მან გამართული ხუთი შეხვედრიდან ოთხი სუფთა გამარჯვებით, ფინალი კი მეტოქესთან ორი ქულის სხვაობით მოიგო და ჩემპიონის ოქროს მედალს დამსახურებულად დაეუფლა.

ქულების დაუკარგავად 60 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა მანუჩან ზირაძე (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი), რომელმაც საფინალო ორთაბრძოლა ბრწყინვალედ - სუფთა გამარჯვებით დაასრულა.

ჩემპიონატზე 81 კგ. წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ბიორბი ნაცვლიშვილი (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი).



მედიის მფლობელი

ძიუდო

6-7 აპრილს თბილისში ჩატარდა ძიუდოში სარეიტინგო ტურნირი ქვეკლდეში (ნევაზა) 2010-2011 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც მზისგულის ჭიღობის სექციის (მწვრთნელი სოსო ჭიკაძე) პატარა მოჭიდავემ მამუკა ზირაძემ დაიკავა III (38კგ).

ეულოცავთ გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ!



„არსენა“ ოქროს 12-ეულშია

28-29 მარტს თბილისში ჩატარდა ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის საკლუბო ჩემპიონატი 2008-2009 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებში. როგორც წინა წლებში, ჩემპიონატში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობას იღებდა ძიუდოს კლუბი „არსენა“ (დამფუძნებელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი), რომლის ღირსებას ამ ასპარეზოზე იცავდნენ: ოთარ ოდიკაძე (55 კგ), ვახტანგ ჭიბაძე (60 კგ) და ვითორი ქარაიძე (მძიმე წონა).

გამართულ გუნდურ შეხვედრებში „არსენას“ ძიუდოისტებმა შეძლეს ოთხი ასპარეზობის მოგება და „ოქროს 12-ეულში“ მოხვედრა. საკლუბო ჩემპიონატის ფინალი მაისში გაიმართება და ვუსურვებთ ჩვენს ძიუდოისტებს მისი და დაწესებული ჯილდოს მოგება.



ავთანდილ ჭრიკიშვილი
აპტიური სკორტიდან
ბააცილუს

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში

იმ, სადაც გავზოგვს მიუხარიათ. . .

უჯარმის თემა

უჯარმის თემაში შემავალი სოფლები: უჯარმის, პაღლოს, მუხროვანის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებს სოფელ უჯარმაში მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ემსახურება.

შენიშნა 1973 წელს აშენდა, რომელშიც დღემდე არაერთი თობა აღიზარდა და დაფრთიანდა, ერთ ხანს აქ რუსულენოვანი ჯგუფიც ფუნქციონირებდა. ასაკოვან უჯარმელებს ახსოვთ საბავშვო ბაღის პირველი მასწავლებელი ელენე ჭულუხაძე, რომელიც შემდეგ უჯარმის სკოლის დაწესებულებაში კლასების პედაგოგად მუშაობდა წლების განმავლობაში. შემდეგ აქ კვლავ წლების განმავლობაში პედაგოგად მუშაობდნენ გულიკო რევაზიშვილი, ციური აბელაშვილი, ეთერი ხატიაშვილი. საბავშვო ბაღის გამგის პოსტზე ნინო დურგლიშვილი, ლია სონიძე, ნინელი მაჭავარიანი იყვნენ.

დღეს დაწესებულების მენეჯერია მანანა აბურჯანია, რომელიც ხაშში დაიბადა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. შემდეგ კი 1989 წლიდან უჯარმის საბავშვო ბაღის გამგედ დაიწყო მუშაობა, პარალელურად, იმ დროიდან დღემდე, შეთავსებით, სოფელ უჯარმის საჯარო სკოლაში ქართულ ენა-



ფეიქრიშვილის, მუსიკის მასწავლებლის - ლია ზუკაკიშვილის, მღერის - თამარ ნიკოლოზაშვილის, მზარეულ -



ბოგლა ლეონიძე მზეო, იცინე

მზეო, იცინე, გაზაფხულის აზამბარია! აყვავებულან იმედები, ფერთა დარია! ახალგაზრდობა, სიყვარული ერთად არიან! წვიმავე, ჩარეცხე ჩემი სული, ნაზამთრალია! წვიმავე, მიმღერე, სიჭაბუკის მოსვლა მახარე, ნიავე, ვარდი საქართველოს გადააყარე! მზეო, იცინე, სიყვარულის აზამბარია! ვინ აყვავა ეს ხეები და რამ დახატა, ან ეს ჩიტები, ეს ჩანჩქერები, ვინ ალაღადა! ყინულის ქერქი მიწისაგან გადამძვრალია, მიწას შუქი ჰკრა უკვდავებამ, მისი ბრალია! მისთვის ყოველი ირგვლივ მოსჩქევს, მღერის, წკრიალებს: დულს და ყვავილობს, მოეფარებს, მღერის, ძვრიანებს, ზურმუხტ-ფირუზში აფანტული ოქრო ქრიალებს, სიო მინანქრით მზის ყვავილებს ანამქრიანებს. ათქვირებული ფოთოლნარი... მთურალი ფათალო... ნუშებს გადაჰკრავს მაჭრისფერი... როგორ დავთვალო



სა და ლიტერატურას ასწავლის.

უჯარმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დღეს 13 აღსაზრდელია, მათგან ხუთი ბიჭი და რვა - გოგონაა. ნია სავინაძე ე.წ. წალმიანის დასახლების მცხოვრებია. 13 აღსაზრდელიდან ხუთი: თამარ ლეკიშვილი, ანა ნაირაშვილი, რევაზ ნათობიშვილი, ნია სავინაძე, ნატალია წიკლაური უჯარმის საჯარო სკოლის პირველი კლასის საკლასო ოთახში პირველ კლასელის სტატუსით შესხნიან კარს, მიუსხდებიან მერხებს და ვინ იცის, რამდენჯერ გაიხსენებენ მანანა - მენუჯერის, პედაგოგის - მანანა სონიძე - ბურღულაძის, აღმზრდელის თანაშემწის - მზია



ირმა ვაწაძის, ჭურჭლის მრეცხავ - თამარ აბელაშვილის, დამლაგებელ - ინგა ბასილაშვილის, მეეზოვე - თეონა ბუჯიაშვილის, დარაჯის - დავით სამხარაძის მზრუნველობა და სითბოს, აქ გატარებულ ღამაზ-ღამაზ მეცადინეობებს და სამასსოვრო ზეიმებს. მეცადინეობენ, თამაშობენ, ლია და მანანა მასწავლებლებთან ერთად მუსიკის გაკვეთილზე ხალისობენ, მაღიანად შეექცევიან ირმა დეიდას მომზადებულ საუზმესა თუ სადილს, სამხარს.

მანამდე, კი გაზაფხულის შემობრძანებას ხან სამეცადინო ოთახის ფანჯრებიდან აკვირდებიან, მზიან და თბილი აპრილის დღეებში კი გარეთ, ეზოში თამაშობენ და ჩიტუნებთან ერთად ზეიმობენ ხეებზე თითოეული კვირტის, ყვავილის თვალის გახედვას.



თინა ილაური, თამუნა და ნინო შალვაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნანული, ტარიელ, იზოლდა როსტომაშვილებს - მზის, გულიკო მარტიაშვილს - მეუღლის, ნათია და ვასიკო როსტომაშვილებს - მამის ამირან ვასილის ძე როსტომაშვილის გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
რედაქტორი: თინათინ ილაური
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტიფიკაციო კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრეს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

